

ԱՐԵՎԵՆ
ՑՈՒՑԱԿԱՐԱՆ

№ 19



ԱՐԵՎԵՆ ՀՅԱՀԱՅԹՄԱՆ, — ՊԱՐԱԳԱԿԻ.



B. T. Տախիսնու

1909




ՑՈՆ ԶԱՐ ՏՈ

I—ՅԵՒՐԻՍ ՀԱՂԱՆԻ, — ՀԱՅԻՆ, ո. ՀՅԱՂԱՄՎՈՂՈՎԱ	3
II—ՅՈՒՂԱՆԵՑ, — ՇԻՋՈՐՈՎԱ	5
III—ՅԵՒՆՈՒԵՐՈՎԱՆԻ, — (ԹԱՐՅԱՆԻ) Թ. ՀԱՅՈՐԴՅԱՎՈՎՈՎԱ	8
IV—ԵՐԻ ՆԵՐՄԱ, — (ՅԱՑԿՈՎՈՎԱՆԻ) Ձ. ՀԱՅՈՎԱՆԻ	13
V—ԵՎՇԵՐԵՑԻ ԸՆ ՅՈՒՎԱՆՐ, — (ՍԱՄԻԿՈՎԱՆԻ) Ա. Հ. Ե. ՆՈՎԱ	15
VI—ՅՈՒՐԻՍ ՏԱՎՃԱԾԱՎԱԼԻ, — XXI ՖԱՐԻՆԱ ՑԱԽԻ ԱԿԵՆԻ, — (ՅԱՆԿՈՎՈՎԱՆԻ) Հ. Հ. ՀԱՅՈՎՈՎՈՎԱ	17
VII—ԻՐԵՄԱ ԸՆ ԱԼԵՆԻ	24



ՀԱՅՈՎԱԳՐԱԿԱՆՈՒԹՅՈՒՆ



რელიგია 80-V.

№ 19

ოქტომბერი 1909 წ.



ტფილისი, ვლექტონის სტამია წიგნების გამომცემელ ქართველთა ამინისტრის.

შინაარსი

I—შეზერის ღილინი,—დექსი, ა. ევდომიდისა	3
II—მოგონება,—ტექირასა	5
III—მეცნიერობანა,—(თარგმანი) თ. აშორევებისა	8
IV—ხარი ზებუ, —(გაგნერიდან) დ. უიფანისა	13
V—ბავშვები და მთვარე,—(სომხური) ქ. ქ—ნისა	15
VI—ვირის თავგიდისავალი.—VII პატიარა ბაჩი ცხენი,— (ფრანგულით) ან. ამილასკრისა	17
VIII—რებუსი და აღსნა	24





მეზონის ღილინი



ლითი-წლობრძე გიაზე,
ჩემთ კენახო რქიანო,
გეხვეწებოდი, რო პეირტბი
შედი, არ დაიგვიანო!

გრწევდი, გბარბვდი, გთოხნიდი,
მერქანს კიდგავდი მუხისას,
მაღლა გიყრთხობდი ქაჭაჭხა
და ძირს—წიწილებს ქრუხისას!

ვინ გინდა, მტერი არ გამგანდა:
სეტევა, ნაფარი, ქარია;
შენს კლორტებს კრძნებოდა
ჩვენი „კუდგარდა“ ხარია!

ჰირცმაცუნების რაღა კსოვეა—
შემოჰურებდნენ მტევანსა,


იძახდნენ: „გემრიულია,
ესა სჯობია უკელასა!“

აბა, რა ენადვლებოდათ
ან ნიკოს, ან და ევასა,
არ დაადგებათ უკლებედა,
ტკბილად უსველებს ენასა!

ეხლა კი ჩემი ჯერია,
მეც მემურგება ტკბილადა.
ჩემი ნაშრომი ნაღვაწი,
მეც მერგება წილადა!

საწნახელს მოუდხენია,
რთველი მაქვს გახურებული,
იქნება გამოვიცვალო
მეც ჩოხა გახუნებული!

ი. ევდოშვილი





მოგონება



ალათით ხელში, პირ მოცინბრი და სიცოცხლით სავსე ჰავლე მოხტოდა ძტგზნა—
სიძღერით ქუჩაში და უნებურად გამვლელ-
გამომვლელთ წარა-მარა ზედ აწედებოდა.
ზოგს ბრძასავით უკანიდან დაეკახებოდა
და მოულოდნელად გულს უხეთქავდა,
ზოგს გვერდებში ემგერებოდა და კალათ-
ზედ გამოდებული ტანისამოსი სიჩქრო-
საგან თან მიჰქონდა. დიდი ბუზღუნი და
ალიაქათი ასტეხა გამვლელ-გამომვლელ-
თა შორის; ზოგი მათვანი სიბრაზით თავ-
შიაცეკი აფარებდნენ, მაგრამ ჰავლე თავისას არ იძლიდა—მათ
წინ კერ ვითომ შეკრთვებოდა—„რა ჩემი ბრძლიათ“—მიაძა-
ხებდა და, ცოტას გასცდებოდა თუ არა, გულიანად ხარხარებდა
და, იმ სიცილსა და უპან ეურების ღროს, ასლა სხვას ვისმე
დაეკახებოდა. განვლოთ ამ ეოფით, როგორც იქო, ის კიწრო
ქუჩა და, მეორე ქუჩის დასაწეისს რომ მეუსვია, ერთ დღი მა-
დაზიის წინ უეცრად შესდგა და იქ გამოფენილ მშენიერ სილს
თვალიერება დაუწეო. მაღაზია საგანგებო ხილით იქო სავსე:
მსხვილი არამი ისე მძვენივრად იქო გამწკრივებული, რომ
ადამიანი მარტო ცქერით გულს იჯერებდა; მათ გვერდით და-
წმენდილი ბორა-გამლები სილამაზით თვალის სტაცებრენ მათს


მაცქერალს; ახალ-ახალი, გადაკუთხებული შავი ლეღვი ეჭვილებული
გაცინებულებივით იცქირებოდა; იქვე ეუთით მსხვილ-მარცვალა
ეურძნისათვის, თუმცა პატარძალივით ლეჩქა ჩამოეფარებინათ,
მაკრამ მოუსვენარი ფუტკრები თავისის არ იძლოდნენ, სიტყბოე-
ბას ლეჩქიდგან მაინცა სწოვდნენ. პავლე ეს ეველაფერი ღიმი-
ლით აათვალიერ-ჩათვალიერა, მაკრამ, ეურძნის გასწვრივ სველ-
ჩურჩხელებს თვალი რომ მოჰკრა, თითქოს სახეზედ შეიცვალა;
დაღონებულმა ერთხელ მძიმედ ამოითხორა, კალათი თავზედ ჩა-
მოიმხო და ჩურჩხელებს დიდხანს თვალი ვერ მოამორა.

— ვაი, დედა! ეხლა სოფლებში რა გახალებული რთვლე-
ბია და მე კი აქ ეველაფერი მენატრეა, — გაიფიქრა და ამ
სიტყვებთან ერთად ოქნებით სოფლისკენ გაფრინდა. მთელი
სოფლით ფიისის სამურის ფუსფუსით ერთ წამს თვალ წინ
გადაეძალა და მისი პატია გული სისარელით ადაფრთოვნა:
მოაგონდა მძვენებით სავსე სისხამი დილა — სწორედ ის დრო,
როდესაც ცაზედ ვარსკვლავები მიუწოდებილი ნაპერწკლები-
ვით უძალ ჭრებიან; ცა კი, სამაგიეროდ, ისე დურკადება და
კრიალდება, გეგონებათ, დედამიწას ხარკედ უნდა გაუხდეს და
ძილის შემდეგ დაძაზი სახე მიგ უნდა ჩაასედოსო. მასლო-
ბელ მთებზედ მემოგრაგნილი სპერაკი ნისლი განდევნილი-
ვით საითოაც მიჰქოის. იმ დროს მთელი სოფლი ფეხზე
სდგას და გაფაცილებათ მუშაობს. ან ვის მოუვა ძილი, რო-
დესაც წითელ-ვეითლად მემწიფებული, დილის ნიმისგან გა-
დაღვრეშილი და აცრემდებული ხილი ვენახებიდგან გამოსმა-
ხის — ჩქარა, თორებ, თუ მევიმშემნეთ, მარს დავემხობით და
ვეკლავერს თან ჩივიტანოთ. მოაგონდა ვენახებში ძლიაქოთ,
საწახელი ეურძნით სავსე და ტკბილის წეაროს ქვევრში მხია-
რული ჩუქჩენი. შემდეგ თვალი წინ მეუ დღე წარმოუდგა, რო-
დესაც დაღლილი მომუშავენი რომელსამე მსხმოიარე სის ქვეშ
კერძით სავსე ქვაბს მოუსხდებიან და მხიარულის მუსაიფით



სადიღს შეუქცევიან, ზემოდგან კი დამწიფებული ხილია აუჭილებული ნიავის დაბერვაზედ, ბრაგა-ბრუკით ზურგისა და თავში ეცვებიან მთ. სადოლებებს. მზე კა, შემოდგომის მმვიდი, თბილი მზე ალერ-სიანად თავს ევლება იქაურობას და უფრო სიცოცხლით ავ-სებს ლამბაზ ვენასებს. იქვე, გვერდით ჩამოწმენდილი მდინა-რე თითქო სიძლერით ჩამოჩხრიალებს და ისიც პატარა, კრი-ალა ტალღებით შეი ჩაცვინულ ხილს სასიამოვნოდ მოაქა-ნებს. მის ნაპირზედ წითლად შეხუნულები შეინდი შეი წებლ-მი გამტერებულივით ჩაცქირება და ნელის რხევით თვის უძრავლეს მარჯნის საუკრევებს საევარლად აციმციმებს. მოა-გონდა მეტის მსხმოიარობისგან ჩამოჩხილი მათი სახრავი არამი და იმ სიექთეს მოძორებულს გული დასწერა. მაგრამ ახლა, მთვარიან დაშეძი, სკელ ჩურჩხლების გვერდით, გოგო-ების ლხინი და ძეზარხომებულ ბებურ სინკას უცხების ქნე-ვა და ტორტმანი რომ წარმოუდგა, სახე ისევ გაუბრწეინდა — მამა ჩემი რომ ჩამოვა, უსათუოდ თან წაკევები, არ დავდგები ამ თხერძიო, — გაიფიქრა პავლებმ, თან მეტის კრძნობით მო-ქანცულმა დასასვენებლად მირს მოკეცა; შემდეგ, აკნებით გა-ტაცებულმა, ქალათი გონება-დაუტანებლივ თავ-ქვეშ ამოიდო და, წასვლის იმედით გახარებულმა, მუა გზაზედ ტკბილი ხერინ-ვა კი ამოუშევ.

ცეცილი





მ ე ც ნ ი ე რ ო ბ ა ნ ა

(დასახული)



ინამ განაგრძო: ბატონებო! კიდევ კიძეორებთ,
 რომ ის საგანი, რომელზედაც მე ვიბაასებ,
 უბრალო, მაგრამ მაღიან საინტერესო-კია. ამ
 საგანს მუდამ ვხედავთ ჰერერბურგისა და სხვა
 ქალაქის ქუჩებზედ. როცა თოვლით იფინება ქუჩები, მაძინაც-
 კი ვხედავთ იქ, საცა თოვლი არა მევს. ნინა შეჩერდა და
 გადაჭედა იქ დამსწრეთ, თითქო სურს გაიგოს, უკელანი უკრს
 უცდებენ ჩემს ლაპარაკს თუ არათ.

— რასაკვირველია, მიმიხვდებოდით, რომ მე მსურს თქვენ-
 თან ბაასი ქვების შესასებ, იმ ქვების შესასებ, რომლის ურიცისვ
 გროვას ეოველ ნაბიჯის გადადგმაზე შევხვდებით, როგორც
 ჰერერბურგისა ისე სხვა ქალაქების მოკირწელულ ქუჩებზე.
 უკელა ჩვენგანი ეოფილა სოფლად ან სააგარაკოდ, და იქ მაინც
 შეუმჩნეველი არ დაგრჩებოდათ წელის პირას გაფანტული სხვა-
 და სხვა ზომის ქვები.

ზოგ ქას ისეთი შეხედულება აქვს, თითქო მიწასთანაა
 შეხორცებულიო. უწეველია, როცა ამ ქვებს უკურებდით, იყი-
 თხავდით გუნებაში: საიდან და როგორ გაჩნდა ეს ქვებიო.
 მართლაც, საიდან გაჩნდა? მეგინიშნავთ თუ არა, ბევრჯერ



ტრიალ მინდორზე ერთად ერთი ქვა გდია მხოლოდ კუთხისა განედა იქ ის ქვა?

ვიდრე ქვების შესახებ წავიკითხავდი რასმე, დარწმუნებული ვიუავ, რომ ქვების სამშობლო ადგილი მდინარის ნაპირები და მინდორია, მაგრამ ახლა კი დაბეჭითებით შემიძლიან ვსთქვა, რომ შემცდარი ვიუავი.

იცით საქმე როგორ არის? ნინამ კიდევ გადაჭედა ბავ-მებს. ვველანი უკრძალებით ისმენდნენ მის საუბარს.

ეს ქვები თურმე, განაგრძო ნინამ, მხოლოდ სანგრძლივ მოგზაურობის შემდეგ განენდნენ იმ ადგილას, საცა ვხედავთ. მხოლოდ საინტერესო ისაა, რომ ადამიანის ხელით კი არაა აქ მოზიდული, არამედ თავისით არიან მოსულნი.

— ეგ შეუძლებელია, — მეაწევეტინა სიტუა ვიდამაც — ეს იქო ტანია ჰოდრეზოვა, რომელიც ისე გაიტაცა ლექციამ, რომ მიძიც დავაიწერა და ადარც ის ახსოვდა, რომ აქ სწავლულთა კრება იქო იმ ქმად. მაგრამ თავმჯდომარის ზარმა უკრად შეაჩერა ტანია. ნინამ კი განაგრძო: რასაკვირველია, ქვების თავისით სიარული შეუძლებელია, ქ-ნ. ჰოდრეზოვას შენიშვნა სამართლინია და დიდ მაღლობასაც ვსწირავ ამისა-თვის, ხოლო ქვებმა რო ეინულის შემწეობით მოახწიეს ჩვენაძეე, ეს კი უმშევლია.

— როგორ თუ ეინულების შემწეობით? ვერ მოითმინა და შეკითხა კიდევ ვიღბცა.

ნინამ, თავმჯდომარის ზარის დაწეარუნებამდე, მიუკო:

— ახლავე მაგასაც აგისხნით. აი საქმე როგორ არის.

— ჩვენზე კარგა მომორებით, ხრდილოეთით, არის ერთი ქვეებანა, რომელსაც გრენლანდიას უწოდებენ. ეს ქვეებანა ეინულოვანისა და ატლანტიკ ოკეანეს მორის იმუოფება. იქ მთელის წლობით თოვლი სძევს.

სწავლული ამბოქენ, რომ რამდენისამე საუკუნის წინად

მთელი ხრდილოეთი და მასითან რესეტიც მთლად თუშუმუშავი უინულე ეთვიღო.

ის სწავლულიცე ამბობენ, რომ ბუნებაში უკველიცე მომრაობს. ასევე მოძრაობენ, თუმცა ნერი და შეუმნიერებად, ხრდილო ეფრთხის და გრეხლანდის უინულებიც. ეს მოძრაობა შემდეგის მიხეზისაგან წარმოსდგება: მაგ., ჩაასხით ბოთლიში წეალი და სიცივეში დასდგით.

წეალს, რასაკვარელია, გაჭეინავს, რის გამოც ბოთლი მაძინვე გასცედება. ეს იმით აისხნება, რომ გაეინულა წეალი, შეკუმშვის მაგივრ, ფართოვდება ანუ განხევ იწევს. აგრესია გრეხლანდიაშიც.

მართლდია, იქ მაღიან ცივა, მაგრამ მხის სითბოსგან უინული ბეჭრჯელ წელად იქცმება ხოლმე. ამ წეალს მიწა ისკამს. მიწის ქვემ წეალი უინულისგან ფართოვდება, დიდება და ზემო უინულს აწვება, მაღლა-მაღლა სწევს.

წარმოვიდგანოთ ახლა ამ უინულის გროვა მაღლობსა ან დაქანებულ ბლგილზე, ხადაც უინული თანდათან იზრდება და დიდდება. ამას სწევება ზედმეტი უინული და ძირის მისცურავს; ცურვის დროს გზაზე სხვა უინულის ნაჭრებს აწვება და უფრო ქვეით-ქვეით აცურებს; და ამ რიგად უინული ჩამოდის სულ დაბლა, ასე რომ რამდენსამე წლის განმავლობაში, რაც მაღლობზე უინულია, ბოლოს სულ ძირის ჩამოდის და კარგა მანძილზე მორდება თავის უწინდელ დღილს. ჩამოდის და ქვებსაც თან მოაცურებს. აი ისე მოასწიეს ქვებმა ჩვენამდე.

— ქვებს უინულებზე რა უნდოდა? იქ საიდან მოხვდნენ? იკითხა ქარეცეპიმ.

— ამ საათში მაგასაც აგასხნით,—მიუგო ნინამ და კვლავ განაგრძო: უკვე გიამბეთ, რომ ეს ქვები, რომელსაც მინდვრიდ და წელის პირას კვედავთ, აქაურები არ არიან. ესენი არიან იმ კლდის ნაძროვები, რომელიც ოდესადაც მუდმივ თოვლით



იუო დაუბრული. ქვედე ბლაგ-ბლაგ ისვამს წეალს, ჰითშეჭყოფა
იუინჯბა და ბოლოს გამოუსხუტს კლდეს, ისვევ როგორც ჭხეფს
ბოთლს გაეინული წეალი. — კლდიდან მორღვეული ნაჭრები მა-
მინვე სცვივა ძირს, უერთდება ეინულს და მასთან ერთად მი-
სცეურავს ამა თუ იმ მანძილის სისორეზე. ამიტომ ამ კლდიდან
ჩამომტკრეულ ქვებს ვალუნებს უწოდებენ. ქვები ანუ ვალუნები,
როგორც შეგვა ვსოფელი, ერთის ზომისა არ არიან. ზოგი ღიღია,
ზოგი პატარა. ღიღიონ ქვებს, აი, თუნდ იმისთანას, რომელ-
ზედაც პეტრე დიდის ძეგლია აგებული, პატარა სიპქებს, რომ-
ლითაც ქუნებია მოკირწელული, ეველას ვალუნს ეძახიან.

ერთი ამგვარი ვალუნთაგანი არის თურმე ლადოუის ტბაზე
მონაბერერში და ამ ქვაზე სამრეკლოა აშენებული.

— სუეველას ვალუნი რადა ჰქოიან, როდესაც სიაძი ქვა
მომრგვალოა და კლდის ნამტკრევები კი, პირიქით, არ უნდა
იუოს მომრგვალო? ჰქოითხა ტანია პოდრეზოვაძე.

რაკი ამ საგნის ახსნა ბუცილებლად საჭირო იუო, ამი-
ტომ თავმჯდომარებ კვლავინდებურად არ ძეაწევეტინა სიტევა.

ნინამ კი მაძინვე მიუგო: არამც თუ მარტო მომრგვალო
ვალუნებს პოულობენ, არამედ დაკუთხულსაცა, ისეთებს, რო-
გორიც ზოგიერთ ძეგლისთვის არის სმარებული.

აქ წინადაც გითხარით, რომ ქვები მორის მანძილიდანაა
მეტე წამისული. სწორედ ამ მოგზაურობის დროს ერთმა-
ნეთზე და ხან ეინულზე ხახუნის დროს იცვლიან ფორმას
და გარეგნობას. ის ნატესები კი, რომელიც ხახუნის დროს
თანდათან სცვიოდათ ქვებს, ბოლოს პატარ-პატარა გენწებად
და ქვიშათ იქცა.

ნინა ძესდგა პატარა ხანს და ძემდებ ძეგლავ მიჭმართა
კრებას:

ბატონებო! ეოველივე, რაც ვიცოდი ქვების ძესახებ, აკი-
სექნით. ახლა მიგითითებოთ იმ სურაზე, რომელიც ჰქანახეთ

ჩვენს დარბაზში. იმ სურათზეა დახატული ვალუნებიდან ფრანგის
რათი რომ ვნახე, მაშინვე დამებაზა სურვილი წამეკითხა და
გამეგო, საიდან წარმოსდგა ქვები და როგორი იუო მათი
წარსული. და წავიკითხე ის, რაც ახლა გიამბეთ ისე, რო-
გორც მოგახერხე. განმეორებით გთხოვთ, მოძირევოთ, თუ
კარგად ვერ ვიღაპარავე.

— მე ჩემის შერივ ვაცხადებ, — წარმოსთქვა ვარვარა ჰე-
ტოვნამ, რომ ნინას ლექცია გაცილებით საინტერესო იუო
ჩემს ლექციაზე და ამიტომ გთხოვთ, მაღლობა გადუხადოთ
ჩვენს კეთილს ლექტორს.

ამ სიტევების შასუხად შეუწევებელი ტაშის ცემა გაისმა
მთელ დარბაზში. ნინა-კა, გაწითლებული და გაბეჭდირებული
ამხანაგთა ეურადღებით, ჩამოვიდა ტრიბუნიდან და მხარეულად
მიეცება ამსანავ ბავშვთა მიღლოცვასა. აღტაცებით აღვსილდა
ბავშვებმა გადასწევიტეს, შეძეგისთვის მოვემზადოთ და წავი-
კითხოთ რამ, რადგან ლექტორია არც ისე მნელი ეოფილი,
როგორც აქამდე გვეკონაო.

თ. ამირეჯიბი





፭፻፲፦ ዓ.ም

(ვაგნერისან)

(ვაგნერილი)

კენძი კარის-კაცნი ან ფეხით დადიან, ან ცხე-
ნით, აზიაში კი, სახელდობრ თხტ-ინდიაში, ხმი-
რად ძეხვდებით ხარზედ მჯდომარე სალდათვებს.
იქაური ხარები და ძროხები ჩვენებურებს მაღიან
წაავაზან, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მათ
ჩვენებურებზე უფრო ჩარი სირბილი შეუძლიანთ. თუ გაჭირ-
და, ცხენებსაც გაასწრობენ. ზურგზე ქონისაგან შემდგარი კუ-
ზი აქვთ, ამიტომ ხმირად კუზიან ხარებს ეძახიან. იქაური
მცხოვრებნი „ზებუს“ უწოდებენ. ზებუ წენირი და მძვიდი
ცხოველია და ადამიანს ფრიად დიდ სამსახურს უწევს. ჩვენ-
ში ძვირად თუ ძეხვდები, რომ გლეხი საჩქარო საქმეზედ ხა-
რებ ძებმულ ურმით სადმე მიემგზავრებოდეს; თხტ-ინდიაში
კი თავადებიც თავიანთ ეტლები ზებუს აბამებ. მხოლოდ ისი-
ნი ამ აზრით რმის ფერ ზებუს ირჩევენ, მძვენიერ სახეებიან
ხალიჩებს აფარებენ ზედ და რქებს ოქროს ფრად უდებავენ.

ისტონდის ერთი ნაწლავი ეპუთვნის ინგლისელების მიერ მოხდება, რომ ძიერიკი, საჩეარო წერილებით დატვირთული, ცხენის მაგივრად, ზებუს შეკაზმავს და მორს გზას გაუდგება. ხლიქებზე ნალები აკრავს. რადგან თითო ფეხზე ორი ხლიქი აქვს, რასაკვირგმლია, ეოველ ფეხზე თარ-თარი ნალი აჭედია.

ამ, წითელ ტანისამოსით გამოწეობილი ჰარის-კაცი, ჩეარის და მსუბუქის თოსარიკით მიაქროლებს თავის ქუჩიან ხარს და დღეში მეუძღიან ორმოცდათი ვერსი გაარბეითოს. ზებუ მით არის კარგი, რომ საჭმელი ნაკლები უნდა, ვიდრე ცხენს და აღმარიშვი მარჩად და გაბედელად დარბის.

დ. უიფიანი





ბაგშვები და მთვარე



(სომხური)

‘ე ჩასულიერ და ღამდებოდა კიდეც, მაგრამ ჰატარა მმები კურ სახლში არ დაბრუნებულიყვნენ. ტეის ბოლოს თა-მამობაძი გართული იყვნენ და დავიწეუ-ბოდათ, რომ ჰატარები მზის ჩასვლის უმაღლეს სახლში უნდა ეოჭილი იყვნენ.

მაგრამ როდესაც დაღამდა, ბაგშვები უცებ გაჩერდნენ, ოთ-ხივ შხრივ მიიხედვეს. ერთმანეთს დაბაქტერდნენ და ტირილი მოქროთეს. ხეებ შეა გზა არა სჩაბდა: ძალიან შორს იყვნენ თავიანთ სახლიდან, ძირის თუკნენ თავიანთ დედისა ვან.

ჰატარა მმები ერთმანეთის გვერდით დასხდნენ დედამიწა-ზედ, ხეებ ქვემა და სტიროდნენ, როდესაც ნელ-ნელა დაიწ-კო მათ გარშემო განათება და ხეების ფოთლებიდან თავისი მრგვალი კაქაჩა სახე გამოიერ გაბაზრულმა მთვარემ, დააც-ქერდა ბაგშვებს და გაიცინა:

— საღამო კარგა ეოჭნისა! რას აქეთებთ ამ ღროს ტეუ-ში? — დაეჭირთხა მთვარე ბაგშვებს.

— ოჟ, დაგვიგვიანდა! დაგვიდამდა და გზას ვერა ვარუ-ულობთ, — უჟასუხეს ბაგშვებმა და უფრო მოუმატეს ტირილს.

მთვარემ ბაგშვები შეიბრალა.

— ადექტით! — უთხრა — გაგინათებთ ხეებ შეა და გზას იპოვ-

ნით, და ისეთი სინათლე მოჰყინა მათ გარშემო, გამარტინულად დათ დღეათ. მაძინვე თრივენი წამოხტნენ, ხელ ჩაჭიდებულანი აქეთ უცნენ იქით ეცნენ, გზა იპოვეს და გაიქნენ სახლისაკენ, საცა დედა მეძინებული დაემებდა შვილებსა.

როდესაც დედასთან ერთად ბავშვები თავიანთ სახლში შედიოდნენ, ერთს წუთს გაჩერდნენ. აჭარების მაღლა მთვარეს და უთხრეს:

— დიდად მაღლობული ვართ, მთვარევ, რა კარგი რამა ხარ!

ცოტა სანს უკან, მთვარემ ფანჯრიდან ბავშვების ოთახში შეისედა: მმები გახუმებულნი მოგუნტულიერნენ საბნებ ქვემა.

მთვარემ წასჩურნეულა:

— დაგიძინდათ?.. იცოდეთ, ეს ერთი ასე იუოს, მეორედ იმ გაფრთხილდით, თორემ ადარ გაგინათებთ.


უ. კ—ნისა



ვირის თავგადასავალი

XXI აათარა გაჩა ცხვირი

(ფრანგულით)



ავრი სომ კიუარე, მაგრამ მაინც
არ დაშმეიდღი და მეჭავრებოდა
საბრძლო ოგიუსტი და კიდგვ
ცუდად მოვექარ; ბოლოს—კი ბეჭრი
ვინანე. იმ ძემთხვევის უკან ერთ
თვეს აღარ მოსულა ოგიუსტი ჩვენსა; ერთ ღვეს კიდევ მამამ
მოივანა, თუმცა ჩვენებს არაფრიად იამათ.

—აბა, როგორ გავართოთ ეგ უმაწვილი? —ჰყითხა ბერმა
კამილას.

კამილა. უთხარი, თუ უნდა, ვირით ისეირნოს ტემი; გე-
ნრისი კადიმონზე შეჯდეს და ოგიუსტი—ფერმის ვირზე, შენ
ბაჩაზე.

მიერ. მალიან კარგი, თუ დათანხმდა.

კამილა რატომ არ დათანხმდება, მეაკაზმინე ბაჩა და ვი-
რები, შერე შესვით.

ბერი მივიღდა ოგიუსტიან, რომელიც ავავრებდა ლუის
და ქაქს, უფრეს მათ ბაზას, ვითომ საქმეს უკეთებდა; სულ
გადურია იქაურობა, ბოსტნეული ამოევდო, უავილები ამოე-
დო, ვითომ და გადასარგავად; მარწევებს სწრიდა; ერთის სი-
ტემი, იქაურობა გაენადგურებინა. საბრძლო პატარეები უძ-
ლიდნენ, მაგრამ ის წისლებით იგერებდა; ბერი რომ
მოვიდა და დაინახა ისინი მტრიალით თავიანთ ნაშრომის სა-

ნახაობაზე, მიუბრუნდა გაფავრებული ოგიუსტს: „რას გადასახლები ჩემ პატარა საბრალო ბიძაშვილებს?“

ოფიციალუ. კი არ ვაწვდლებ, ვძველი.

ბიერ. ეგენი შენ შველას არ საჭიროებენ.

ოფიციალუ. მე მაინც საქმეს უკეთებ, კიდევ რომ არ სურდეთ.

ლუი. ორი ჩვენოდებაა და იმისთვის გვაწვალებს, აბა, შენ და გენრიხს გაგიძედოთ.

ოფიციალუ. არ გაუბედამ? მაგას ნუ იტევი, შე ლაშირაკო!

ეს. არ გაუბედავდი! პიერი და გენრიხი იმ შევანე ბაჟანეზე ძლიერნი არიან. ამ სიტევებმა და ბაჟანის მოვონებამ გააწარლა ოგიუსტი, მხრები აიწავ და მიუბრუნდა პიერს: რა გინდოდა, მცირფასო მეგობარო? შენ მგონი მე მექებდი.

— მინდოდა მეთქვა, რომ კირებით მივდივართ სასეირაოდ და შენც წამოსულიერავ.

— მაღიან კარგი, — უპასუხა გახარებულმა ოგიუსტმა, რაკი ამით ედებოდა ბოლო უკისა და ლუის დაცინვას. პიერ და ოგიუსტი შევიდნენ თავლაში, რომ ეთქვათ მეჯინიბისათვის, კირები შეეცამა.

ოფიციალუ. ბაჩაც გულლიათ? მაღიან მიუვარს ბაჩა.

ბიერ. ბებიამ მაჩუქ.

ოფიციალუ. მერე იციაკი ცხენზე კდომა?

ბიერ. ორი წელიწადიც არის, რაც ცხენით დავდივარ.

ოფიციალუ. მაღიან მინდა ბაჩაზე შეკდომა.

ბიერ. არ გირჩევ, თუ ცხენზე არ მკდარხარ.

ოფიციალუ. მართალია, არ მისწავლია ცხენზედ კდომა, მაგრამ სხვებზე უარესად არ ვივლი.

ბიერ. გიცდია-კი?

ოფიციალუ. ბევრჯელ; ვინ არ იცის ცხენზე კდომა.

ბიერ. როდის იკექი, მამაშენს არა ჭეავს საკდომი ცხენი.

ოფიცის. მართალია, ცხენზე არა მკადარებარ, მაგრამ ქადაგი სომ მკადარებარ, სულ ერთი არ არის?

ბიერ. (ლიმილს იყვებს) გავიძეორებ, მეირფასო ოფიცისტ, რომ თუ არა მკადარებარ ცხენზე, არც ახლა გირჩევ ბაჩაზე შეკვდომას.

ოფიცისტ. (ნაწყენი) რატომ, ნუ თუ ერთხელ კერ დამითმობ ცხენს?

ბიერ. იმისთვის სომ არ გეუბნევი, რომ არ მინდოდეს დაგითმო, მხოლოდ ცხენი ცოტა ფიცხია და...

ოფიცისტ. მერე რა?

ბიერ. ისა რომ, შეიძლება გადმოგავდოს.

ოფიცისტ. (უფრო ნაწყენი) ნუ სწეხარ, მე უფრო მარტივ გარ, ვიდრე გპონია; თუ დამითბობ, დარწმუნდი, რომ შენსაჭით შევძლებ კადომას.

ბიერ. როგორც გინდა, მეირფასო, შეჯექ ბაჩაზე, მე ვირზე შევკვდები, გენრიხი—კადიშონზე.

ამ დროს გენრიხიც მოვიდა და მზად ვიუავით; ოფიცისტი მიუახლოვდა ბაჩას, რომელმაც ხტომა დაიწეო. ოფიცისტი შეშინებული უეურებდა.

— გარგა დამიჭირეთ, მანამ შევკვდებოდე.

მეჭინიბე. ნუ გემინიან, ბატონო; კარგი ცხენია, ცუდს არას გიზამთ.

ოფიცისტ. (წყენით) სულაც არ მეშინიან, განა მატეობთ, რომ მეშინიან? მე სრულიადაც არაფრისა არ მეშინიან.

გენრიხი. (ხმა დაბლა პიერს) ბაჟაუის გარდა.

ოფიცისტ. რა ჩაუჩირჩეულე, გენრიხ, პიერს?

გენრიხი. (ოდნავ დაცინვით) არაფერი. იქ მგონი ბაჟაუი და ვინახე; ოფიცისტმა ენაზედ იყბინა, გაწითლდა და გაჩუმდა.

როდესაც შეკადა, დაუწეო აღვირს წევა, ბაჩამ უკან-უქან დაიწია. ოფიცისტი მოეჭიდა უნავირს. ნუ სწევ მალიან აღვირს, მაგ სომ ვირი არ არის, უთხრა მეჭინიბემ; ოფიცისტმა მიუ-

No 15

შეა აღვირო. მე და ჩემი ამხანაკი წინ მივდიოდით; გამარტინია
გმბ გავაჟენე; ბაჩამაც მომბაძა; კიდევ მოუმატე, პიერ და გენ-
რისი იცინოდნენ, ოგიუსტი-კი ევიროდა და ჩაებდა ცხე-
ნის ფაფარს; მე მაინც მივაქროლებდი, და არც შევდგებოდი,
მანამ ცხენი ოგიუსტს არ გადმოაგდებდა. ბაჩამაც მოკეურ-
ცხლა და გაგვასწორო; მეც უკან მივდევდი; როცა შევატეობდი,
უკლებდა ტარებას, კუდზე მივწვდებოდი. ამგვარად, კარგ
ხანს ვიჟენეო; ოგიუსტი გადმოვარდებოდა, რომ ისე არ ჩაჭ-
კროდა ფაფარს. ბოლოს ერთი კარგად მოუწიე ცხენს კუდი და
იმანაც ისროლა წიხლი ისე ძლიერად, რომ ოგიუსტი კისერ-
ზე შევარდა, გადავარდა წინ და დაუცა მირს უძრავად. პიერ-
სა და გენრისს ეგონათ იტენა რამეს, და ჩამოსტნენ მისაშვე-
ლებლად.—ოგიუსტ, ოგიუსტ, ხომ არა გვტეინა რა?—შეეცი-
თხენს შეწესებულინი.

— მეონი არა.—უპასუხა მან და ადგა, თან ცახცასებდა
შიძითა. მესლო ეპეტებოდა და კბილებს ამავმაგებდა. პიერმა
და გენრისმა გაძინ კეს და, რომ დარწმუნდნენ, არა ჰქონდა რა
ნატენი, შეხედეს ზიზღით და სიბრალულით.

— ავრეთი შშიძარა რათა ხარ? ჸკითხა პიერმა.

— მე არა... ვარ... მშემარა... მარტო... შემეძინდა... — ძლიეს
წაილუდლუდა ოგიუსტმა.

— იმედი მაქას, ადარ შეჯდები ჩემ ცხენზე,—დასმინა პიე-
რმა.—აი, შეჯექ ჩემ ვირზე, მე ბაჩაზე შევჯდები. სთქვა ესა
და კიდეც შეახტა ცხენს.

— მე კადიშონზე მინდა, — სთქვა ოგიუსტმა.

— როგორც გინდა,—უთხრა გენრისმა.— მე ნაცარაზე
შევჯდები.

მე ეს არაფრად მეჭამნიკა, მაგრამ მაძინვე ბოროტი ფი-
ქრი მომივიდა და შევისვი ჩემი მტერი; მორი ახლოს მივ-
დევდი ცხენს; ოგიუსტს რომ დაურტეა ჩემთვის, მაძინვე გა-

დმოვაგდები, მაგრამ იცოდა, ჩემ პატიონებს რა რეაქცია მის და და ვერ ჰბედავდა. ვცდილობდი მხოლოდ მევლო ბუჩქნარში, რომლის ექლებიც სახეს უკაწრავდა; გენრიხსაც ძესხივლა ამაზედ, იმან ციფად უასესა: „კადიძონი იმას ატარებს ცუდად, ვინც არ უეგარს: ატეობა არც ძენ გწელობს.“

გავემართეთ ძინისაპნ; ჩემმა ემაწვილებმა კერაფრად ისია მოვნეს, რადგან თვიუსტი სულ ჩიოდა, სახე დაქაწრული ჰქონდა ეკლებისგან; მგონი არც იმისთვის იუთ სასიამოვნო ძმნაირი სეირნობა. მე კიდევ ერთი განმრახვა მქონდა: ფერმის ასლო იუთ ერთი ხევი, სადაც ასიამდნენ ერკელსავე უწმინდურობას, ნარეცხს, საჭმლის მონარჩენს და წარმოადგენდა აუროლებულ ძავ წუმბეს. პიერი და გენრიხი წის გაუშვი, ბოლოს, იმ ალაგს რომ მივახლოედი, ერთი ძევიგუნტრუშე და მიგ წუმბები გადავტეორცნე თვიუსტი, უნდა უკირნა, მაგრამ პირი აევსო ტალასთ; მე გულმი ვიცინოდი. —აი, ჩემთ მედორ, ახლა კი ვიქარე ძენი ჯავრი!

ვიცოდი, რომ იმ ბიჭის უცაბედად მოჰქლა მედორი, მაგრამ მაინც ასეთი ბოროტება მოვიქმედე. ბოლოს, ემაწვილები რომ გადმოსტნენ, და ნახეს, თვიუსტი და მე არსად ვიუგით, გაოცდნენ და მოირბინეს, დამინახეს ხევის პირას, ვიდექ და დავცემროდა სიამოვნებით ჩემის მწრის ჭეუნალაობას. ემაწვილებმა რომ ნახეს, რა განსაცემელმი იუთ თვიუსტი, ძეიძლებოდა წუმბები ჩამხრებლივით, დაიწეს უკირილი, დაუძახეს ფერმის მოჯამავირებს, რომელთაც გაუწვდინეს ქეტი; თვიუსტაც მოეჭიდა ამ ქეტს. ასე ამოათრიეს წუმბებან, მაგრამ იმ მდგომიარებაში იუთ, რომ ვერბვინ გაბრებოდა — მთლად ამოსურილი და აუროლებული იუთ.

— წავიდეთ, მაგის მამას დაუძახოთ, — სთქევა პიერმა. — კითხოთ როგორ გავასუფთაოთ. წამო, თვიუსტ, მხოლოდ მოძორებით იარე, თორემ საშინელი სუნი გდის.

ოგიუსტი მთლად შერცხვენილი, ჩაძავებული, ძღვიგსტადი ახელდა თვალებს, და პორიაზლო მისდევდა. მე წინ გვაუკანები ხტომით და უროვინით. პიერს და გენრისს არაფრად ესიამოვნათ ასეთი ხემი მსიარულება, მავარიოზნენ, რომ გავაჩერებულიყავ. ჩემმა უვირილმა მინაურების ურადღება მიიქცია, იცოდნენ, რომ მე უბრალოდ ასე არ ვიუვირებდი, თუ არ საგანგებო შემთხვევამი. უკელამ ფანჯრებს მიაშურა და, როცა მივედით, დიდი და ჰატარა, ბატონები და მსახური საერთოდ გამოცვილენ და გარს შემოგერტენენ. ოგიუსტი შეაძი იდგა და უკელა კითხულიაბდა, რა მოუვიდათ, მაგრამ ახლოს კერ კეპრებოდნენ ცუდი სუნის გამო. ბებიამ პირველ მა წარმოსთქვა, საწეალი ბიჭი უნდა გაიბანოს და გაიძინოს, ხომ არა აქვს რა ნატენი.

— როგორ დაბანოთ, აბანოს ოთახი უნდა მომზადდეს, — სთქვა პიერის მამამ.

მე ვიცი, როგორც უნდა, — შეჭნიშნა ოგიუსტის მამამ. წამომეე, — უთხოა მამამ. ვხედავ, არაფერი აქვს ნატენი, წამო და წეალში გაიბანე; როცა ტალახი გადავიგა, მაშინ საპონს წაისვაძ და კარგად გაიბანები! ესლა წეალი არ არის მაღიან ცივი. პიერი თავის ტანისამოსს გათხოვებს. ოგიუსტი ემინოდა მამისა და წაჭევა მდინარ წელისაკენ; მეც მინდოდა მეუურებინა, როგორ იბანებდა; კარგა დიდხანს მოუნდა ტალახის გაცლას; სულ თმებში ჩაჭეროდა ტალახი. მოსამსახურებ მოუტანა საცვლები, ტანისამოსი, ფეხსაცმელი და საპონი. მამამ კარგად დაჭბახა საპონით და ნახევარ სათას უკან ამოვიდა ოგიუსტი ცასცახითა და სირცხვილით ვედარავის ქვევნა; სთხოვა მამას, მინ წამიუვანეთ. ახლა სხვებმა იყითხეს, როგორ მოუკიდა ეგ შემთხვევათ. პიერმა და გენრისმა უამბეს უოველივე.

მგონი, — სთქვა პიერმა, — ეს სულ კადიძონის ოინგია, რადგანაც მაგას აგიუსტი ეჯავრება. კადიძონმა ბაჩას კუდი


მოსწოდ; რატომ მაშინ არ სხიდის მაგას, როცა ჩემი კარგი დარღოვანი ბაზაზე. ბაზაც გაჟინდა და გადმოაგდო ოგიუსტი; მეორედაცი იქ არ ვიყავით, როცა კადიშონში წუმშები ჩააგდო. კადიშონი კი ისე მხიარულად დახტოდა და ეროვნინებდა, რომ ეტუობა მაგან მოიქმედა ეგ საქმე, რადგან ოგიუსტი სხავს.

— რა იცი, რომ სხავს? შეეკითხა მადლენა.

— ათას ნაირად გვანიშნა,— სთქვა პიერმა, — არ გასსოვს, იმ დღეს ბაჟარისა რომ შეეძინდა, კადიშონი რანაირად გამოუღაბდა და სტაცია მარგალიში ჰირი, კიდეც დააგლივა ტანისამოსი; რომ შეგეხედნა მისთვის, შეამჩნევდი, რა სასტიკის თვალით უეურებდა ოგიუსტს; ვინც ეჭავრება, აგრე უეურებს სოლმე. წვენ აგრე არ გვიცემრის; ოგიუსტს რომ შექედავს, თვალები ცეცხლივით ენთება, ემმაკის შეხედულება ემღვევა. არა, კადიშონ? მე მართალი არა ვარ, რომ ოგიუსტი გეჭავრება, და იმიტომ ჩაიდინე ეგ ბოროტება? მე ერთეულით უასეუს და აულოკე სელი.

ან. ამილახვარისა


(შემდეგი იქნება)



၄၉၃၆

ଓଡ଼ିଆ ପ୍ରକାଶନ ମେଲ୍
ବିଦ୍ୟାଲୟା ପରୀକ୍ଷାକାରୀ

ବାତ

ବୁଦ୍ଧି
ବୁଦ୍ଧି {ବାଜିଶ୍ଵରିଙ୍ଗି}

ବା



ବା



80-18 N-୩୦ ମନ୍ତ୍ରାଳୟର କାମକାଳୀଙ୍କିରଣ ଅଲ୍ଲାନ୍ତି:

ର୍ଯ୍ୟାଲ୍‌କ୍ଲବ୍‌ସିକ୍‌ ବନ୍ଦିନ୍ଦିରେ: ରାଜିନାଥମ୍ବା ଗନ୍ଧିନୀତିର ରାଜମହାରଞ୍ଜିକା.

მინდება ხელის მოჭერა

1909 წლის იანვრიდან 1910 იანვრამდეს. ვართონ უძველესობას

საქართველოს სურათებიანი კურნალი

ნ ა ც ა ღ ლ ი

(წელიწადი მეტეთე)

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი ეურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანობის

12 წიგნი ეურნალი „ნაკადული“ მოსრდლობის

პრემია: მიეცემა წლიურ ხელის მომწერლებს 1909 წ.
„რას გვიამბობს ოთახი“ (ავენარიუსისა)

კურნალის ხელმძღვანელობის ს უწევს საბანგებოდ არჩეული სარეზაქტიო კომისია.

ფასი კურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი. ნახევარის წლით სამი მან. საშედებარ გარედ: წლიურად შვილი მანეთი. ნახევარ წლით ოთხი მან. მცირე წლოვანობის 24 წიგნი სამი მან.—შოზრდადთავების 12 წიგნი სამი მან.—ხელის-მოწერა შაილება წლიურად და ნახევარ წლით. ფულის შემოტანა შეიძლება საწილ-ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქტორი, გოლოვინის პროსპ., ზუგალთვის სახლი., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სიმშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხების გამოერცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზია, სასახლის ქუჩა, სახლი თავალ-აზნაურობისა. წლიურად ფასი გურნალისა დამატებით, ესე იგი 36 წიგნისა რჩება ისევ 5 მანეთი.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მოწერთ:

ვისაც ეურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ ბეჭედის ანუ რედაქტორის, არა უგვიანეს ერთის თვესა.

ვინც მასალის გამოგზვნის დასაბეჭდათ ვთხოვთ გარკვევით და სუფთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: მ. ი. დემურია.

გამომცემელი: თაგ. პ. ი. თუმანიშვილი.